№ 253 16 დეკემბერი, შაბათი 1866—1878 16 დეკემბერი, შაბათი № 258

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამიო ღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნ ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲦᲘᲠᲡ ᲝᲠᲛ ᲐᲜᲔᲗᲐᲓ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ პირთა ამ დარესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ზოგიერთ ჩვენ ხელის-მომწერლებს ქალაქში თავის დროზედ არ მიუღიათ გაზეთი, რადგან ახალი დამტარებლები გვყავდა გაზეთისა და ყველასი აღრესები ბეჯითად არ იცოდნენ. ბოდიშს ვიხდით ამ ხელის-მომწერლებთან და ვეცდებით, რომ ამისთანა შემთხვევა შემდეგში აღარ მოხდეს.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ უმორჩილესი თხოვნა გამოუცხადოთ ჩვენს მომავალის წლის ხელის-მომწერელს, რომ თავიანთი სახელი და აღრესი დაწერილებით და გარკვევით დასწერონ (უბანი, ქუჩის სახელი და სახლის ნომერი) და ისე წარმოადგინონ რედაქციაში.

რედ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ

ღღეს, 15 ქრისტეშობისთვეს, გამოცხადებისათანავე, მუხრანსკის სახლში კლუბის ზალაში იყო კენჭის-ყრა მეორე ხარისხის (რაზრიადის) ამომრჩევლებისა.

ქალაქში სულ 221 ამომრჩეველი ითვლება მეორე ხარისხისა.

ამ რიცხვიდამ ღღეანდელს კენჭის-ყრაზედ დაესწრო სულ 57 მეკენჭე, რომელთაც, ჩვეულებრივის წესით, ამოირჩიეს შემდეგი ხმოვანები:

57 ხმაში თეთრი კენჭი მიიღო და ამორჩეული იქმნენ:

1. ს. პ. ალადათოვი — — 44
2. აბ. არ. ბონესიანი — — 35
3. ლ. კ. ერიმირზოვი — — 35
4. სტ. ბზმიროვი — — — 35
5. ი. ი. სტარიცკი — — — 34
6. აბ. ბაბანასოვი — — — 34
7. დ. ქ. ლისიცევი — — — 34
8. დ. ი. ᲨᲘᲤᲘᲐᲜᲘ — — — 33
9. ე. დ. როტინიანცი — — 32
10. ვ. ი. სურგუნოვი — — 31
11. თ. ე. ხაჯიმინასოვი — — 30
12. პ. ს. ბამბაროვი — — — 30
13. ლ. მ. ბეგლიაროვი — — 30
14. კოსტ. ალ. ბებუთოვი — 29
15. კოსტ. ქ. მამაცოვი — — 29
16. ეჯ. ბ. ეჯუბოვი — — 29

ეს ხმოვანები 57 ამომრჩეველთაგან იქმნენ ამორჩეულნი. შემდეგს 8 კაცს კი მხოლოთ 20 კაცმა უყარა კენჭი, რადგან დანარჩენი მეკენჭეები შინ წავიდნენ. ეს რვა ახლად-ამორჩეული ხმოვანები არიან:

17. ნაპ. ივ. ამატუნი — — 20
18. ავერკიევი — — — — 17
19. მ. ამბარდანოვი — — — 15
20. ი. სტ. ხატისოვი — — — 15
21. ბრ. ივ. ᲘᲖᲛᲘᲠᲝᲕᲘ — — 14
22. ა. ს. ᲬᲣᲠᲘᲜᲝᲕᲘ — — — 13
23. ი. ად. ᲨᲝᲠᲐᲥᲝᲕᲘ — — 12 და
24. ი. ბ. ᲤᲠᲘᲓᲠᲝᲜᲝᲕᲘ — — 12

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲒᲕᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ, ᲕᲧᲕᲘᲠᲝᲓᲘᲗ—ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ არ დადგა, თბილა, თბილაო და აი ზამთარიც დაგვიდგა, თოვლსაც ვეღირსეთ და სიცივეც ვიგემეთ! ᲑᲣᲨᲘᲜᲐᲡᲬᲘᲜ, ოთხშაბათ დილას რომ ავდეგით, სახლების სახურავები გადათეთრებული იყო და თოვლ-შხაპი, წყლიანი უხეირო თოვლი მოდიოდა. მას აქეთ დრო-გამოშვებით თოვლს და სიცივე კი მუდამ არის. ᲓᲦᲔᲡ დილით ცოტა ყინვაც არის.

ამ თოვლის წყალობით, შეშის ფასმა უეცრად აიწია: ადრე რომ ურემი სამ-ოთხ მანეთად ისყიდებოდა, ახლა იმ ურემს 5—6 მანეთ ნაკლებ ვეღარ იყიდი. მაგრამ შარშანდელ ზამთარზედ მაინც, რასაკვირველია, თითქის ერთი-ორად იაფია.

*** ᲐᲛ ᲝᲠᲘ სამი თვის წინათ თფილისის ხელოსნების თავს მკერვლების ამქრის 71 კაცმა წარუდგინეს საჩივარი ამ ამქრის უსტაბაშზედ უფ. კ. ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲖᲔᲓ. საჩივარში მოხსენებული იყო სხვათა შორის, რომ უფ. ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲘ ავიწროებს ამქარს, უკანონოთ ართმევს ხელოსნებს შაგირდებსაო, ქრთამს იღებსო, ანგარიშს არ იძლევა, ხაზინადარი არა ჰყავსო, და სხვ. ᲑᲔᲕᲠᲘ უკანონო და ამქრისათვის მავნებელი ბოროტ-მოქმედება იყო ჩამოთვლილი უფ. უსტაბაშის ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲔᲡ საჩივარი, რომელიც 71 მკერვლისაგან იყო ხელმოწერილი, ამ ღღეებში განიხილა ხელისნების თავმა და, როგორც შევიტყეთ, მოწმებისა და თვითონ მომჩივნების ჩვენებით, ცხადათ დამტკიცდა უფ. უსტაბაშის ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ სიმართლე. მომეტებულ ნაწილ მკერვლებმა, რომელთაც საჩივარზე ხელი ჰქონდათ მოწერილი, ხელოსნების უპრავაში აჩვენეს, რომ ჩვენ არ ვიცოდით, რას ვაწერდით ხელსაო, ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲖᲔ არაფერი საჩივარი არა გვაქვსო, არ ვემდურით იმასაო და ნასიბოვის, ᲙᲝᲕᲐᲚᲔᲜᲙᲝᲡ, ᲓᲔᲘᲙᲔᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და ᲨᲐᲕᲚᲔᲜᲝᲕᲘᲡ ჩაგონებით მოვაწერეთ ამ ქაღალდზე ხელიო, მოგვატყვილესო.

ᲐᲛᲘᲡ გამო სახელოსნო უპრავას დაუდვია განჩინება ამ ქრისტეშობისთვის 13-ს რომ ყველა იმ პირთ, რომელთაც ხსენებულ საჩივარზედ ხელი აქვთ მოწერილი, სახელოსნო წესდების მე-230 და 231 მუხლის ძალით, უკანონო საჩივრისათვის გადახდესთ ჯარიმა 7 მან. 50 კაპ., და ამასთანავე უფ. ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ მიეცეს უფლება, თუ ისურვებს, ზემოხსენებულ ოთხ პირზე, რომელნიც აქეზებდნენ ამ ხალხს, ცილის-წამებისათვის საჩივარი შეიტანოს სასამართლოში.

*** ᲩᲕᲔᲜ შევიტყეთ, რომ მომავალი კვირის ხუთშაბათს, 21 ქრისტეშობის თვეს ქართული სცენის მოყვარენი ნემეცების კლუბში აპირებენ მოლლიერის კომედიის (თ. აკ. წერეთლისაგან გადათარგმნილს) „ᲡᲙᲐᲞᲔᲜᲘᲡ ᲪᲣᲦᲚᲣᲢᲝᲑᲘᲡ“ თამაშას. ᲐᲛᲐᲡ გარდა წარმოდგენილი იქნება აგრეთვე უფ. Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲔᲠᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ: „ᲪᲝᲚᲘ თუ გინდათ, ეს არის!“

*** ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ გაზეთებში იწერებიან, რომ ქრისტეშობისთვის 4-ს იქ ყოფილა გამართული ჩვეულებრივი „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲦᲘᲚᲘ“, რომელზედაც სხვათა შორის დასწრებიან ამ ოქმის გმირნი: გრაფი მ. ტ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ, ღენერლები: ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘ, ᲓᲔᲕᲔᲚᲘ, ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ, ᲠᲑᲠᲣᲩᲔᲕᲘ და სხვ.

*** ᲣᲤ. ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სტამბაში იბეჭდება და ამ ღღეებში გამოვა უფ. ᲛᲘᲮ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔᲡ კომედია „ᲰᲐᲔᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘ“. როცა დაიბეჭდება და გამოვა, თუ

საჭიროთ დავინახეთ, მაშინ ვიტყვით ამ კომედიაზე რამდენსამე სიტყვას...

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო!

თქვენ პატივისცემულ გაზეთში (№ 249) დაბეჭდილია ცოტა შენიშვნა დაბა ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜ, რომლის ავტორი ეხება ჩემს კერძო ცხოვრებას და პიროვნებას. რადგან უ. კორრესპონდენტი ჩემ სიმართლეს საეჭვოთ ხდის, ამიტომ მომეცით ნება თქვენივე გაზეთის საშუალებით აღვადგინო ჭეშმარიტება.

უ. კორრესპონდენტი ძლიერ მაცადინია, რომ ეს საქმე მას არ დაებაროს და ამბობს: „მაი თუ ეს ჭუჭყიც შორაპნელებს დაებაროს.“ მთელ შორაპანს ჯვარი წერია ჩემ და კორრესპონდენტისაგან, მაგრამ შორაპანში რომ არიან ცუდი კაცები, რომლების მოწყალებით ხდება ხოლმე ყოველ გვარი ცუდი საქმე—ეს ნამდვილია.

აი როგორ იყო საქმე:

ამ მოკლე ხანში ჩემთან შამოვიდა ღამით ერთი ყმაწვილი ქალი, რომელმაც მწუხარე ცრემლით შამომჩივლა, რომ მამისაგან უნდა ყოფილიყო ის შეიწროებული, სამ გზით კინაღამ უნდა მოეკლა ის ხარჯლით, ოთხ დღე და ღამეს ბნელ ოთახში ყოფილიყოს უჭმელ-უსმელი და იძულებულია ის ან დაიხჩოს და ან მოიკლას თავი.

მიზეზათ ამ გვარის შევიწროებისა ქალმა სთქვა ის, რომ ვითომც მის მამას მზითევის მიცემა ეზარებოდეს და უმზითოთ არავის წაეყვანოს. შემდეგ მოენახოს ერთი ვილაც სომეხი და მას აძლევდეს, მაგრამ უკანასკნელს ქალი არ მიჰყვებოდეს ცოლათ.

ქალი მოვიდა ჩემთან საშველებლათ ამ გვარი მდგომარეობისაგან.

ქალს რჩეა სივეცი, რომ ეს გარემოება ან პოლიციისათვის და ან მომრიგებელ მოსამართლისათვის ეცნობებია. მაგრამ იმან უარი გამოაცხადა, რადგან შემდეგ უარესს შეეიწროებას მოელოდა მამისაგან. და ბოლოს ცრემლით განმიცხადა, რომ ის მოვიდა ჩემთან სახსნელად ამ უკიდურეს მდგომარეობისაგან და წასელა ჩემგან არსად შეუძლია; უკეთუ განვიზრახე მისი ძალით გარეთ გაგდება, მაშინ ნამდვილ ჩემ წინ თავს მოიკლავს.

როგორი ყოფილა ჩემი მდგომარეობა? ამ დროს ჩემში აღიძრა ორი გრძნობა: პირველი შიშისა, ქალს ჩემთან თავი არ მოეკლა და მეორე კაცთა-შებრალებისა. ამ ნაირათ იძულებული შევიქენი მიმეღო ქალი იმ ღამეს ჩემ ბინაზედ და მერმეთ რამე საშუალება მომეძებნა მისთვის.

მეორე დღეს მშობლებმა ქალი ჩემ ბინაზედ დაინახეს; მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს.

ჩემი მდგომარეობა ვაცნობე ჩემიანებს, რომლებიც იცნდბდნენ ქალს და მის მშობლებს. თითქმის ყველამ დამიშალეს ქალის ცოლათ შერთვა და მარწმუნეს, რომ ეს ყვირილელი გაიძვერების მოხერხება უნდა ყოფილიყო. რომ ქალის გაბრიყვება ჩემთვის არ შეეწამებინათ, მოუწოდე პოლიციის პრისტავს, უ. ᲫᲚᲔᲜᲢᲡ, ვაკითხვინე ქალისათვის თანდასწრებით ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ შკოლის მასწავლებლის უ. ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐ და გამოვართვი მას პროტოკოლის პირი (№ 508), რომლიდგანაც სჩანს, რომ ქალი თავის ნებით მოვიდა და ჩემგან არავითარი მიზეზი არ ყოფილა მისდამი მოცემული.

მსურდა შემეგონებინი ქალი, რომ თავის ნებით წასულიყო მშობლებთან,—არ ინება. შეუთვალე ქალის მშობლებს მიეღოთ თავიანთი შვილი და არ ვყოფილიყავი იძულებული, რომ ქალიშვილი ქალი პოლიციის საშუალებით გამეგდო გარეთ,—უარი მივიღე.

ამ დროს შკოლების დირექტორი უ. მარსოვიც მოვიდა ჩემთან და იმის ბრძანებით მოუწოდე პოლიციას და მოვიცილე ქალი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲣᲓᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ქალის მამას საჩივარი შეუტანია საბამართლოში და მიმტკიცებს ქალის გაბრიყვებას.

მე სიმართლის იმედი მაქვს და ვნახოთ რას იზმენ ცრუ მოწმეებით.

უ. კორრესპონდენტი ამბობს, ვითომც ამ საქმის გამო ხალხს ჩემი უღმერთოება და მეორეთ-მოსვლა ეფიქრებინოს, ვითომც მე მიმეწეროს მაზრის უმფროსთან: ბავშვი შამომიგდეს ოთახში და სხვ. ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲡ. ხალხი მალე მიხვდა ამ საქმის მოხერხებას; რამდენიმე გლეხი მოვიდა ჩემთან და გულითადი შებრალება განმიცხადა ამ საქმის გამო.

პრისტავისაგან მოცემული პროტოკოლის პირი რომ ყალბათ გამოიყვანოს აი რას ამბობს უ. კორრესპონდენტი:

„ᲐᲛ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲭᲔᲠᲝᲓᲔᲡᲝ: ᲠᲝᲛ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲜ, ᲛᲪᲮᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐᲝ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲮᲕᲘᲓᲔ ᲔᲥᲕᲨᲘ.“

ნუ თუ რაც ითქმის, ყველაფერი დასაჯერებელია?...

ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ Ռ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, Დ. ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲡ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲓᲐᲛ, 26 ნოემბერს. ნოემბრის 11-ს, 11 საათზედ, შუადღისას, გამოვეთხოვეთ ზაქათალას და დავადექით მშვენიერს გზა-ტკეცილს ს. ᲥᲐᲮᲘᲡᲙᲔᲜ.

ქალაქის გვერდზედ გაცხარებულად მუშაობდნენ ას-ოცზედ მეტი მაჰმადიანები-გლეხთაგანი, რომელნიც ცნობილ არიან დამნაშავედ მაში, რომ შარშან აჯანყებული ლეკების სამებაში ჩამოქცევაში ტყვედ დარჩენილიყვნენ. ᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲜᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲯᲘᲚᲓᲠᲘᲚᲓ ᲒᲐᲐᲕᲐᲜᲗᲐᲗᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲐᲡ, ᲕᲘᲗᲝᲛᲪ ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲔᲕᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲖᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲠᲘᲧᲔᲖᲔᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲑᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲮᲝᲛ ᲘᲪᲐᲠᲪᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲯᲘᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲮᲚᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲐᲠᲢᲝᲓ ᲛᲯᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ. ᲛᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲜᲣ ᲓᲐᲔᲛᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲐᲕᲡ ᲑᲔᲓᲡ...

ᲛᲝᲔᲨᲝᲠᲓᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲡ.

ᲐᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲑᲔᲠᲐ ᲬᲘᲜᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲣᲠᲛᲐ ᲪᲝᲢᲝᲗᲘ ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲜᲘᲐᲕᲛᲐ. ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲤᲐᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲬᲐᲠᲘ ᲛᲬᲣᲮᲠᲝᲑᲘᲡᲐ; ᲮᲔ, ᲢᲧᲔ, ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ—ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲢᲘᲢᲕᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲪᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲚᲐᲗ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘᲐ: ᲐᲠᲡᲐᲓ ᲡᲩᲐᲜᲡ ᲜᲐᲛᲪᲔᲪᲘᲪ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲪᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲣᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚ-ᲦᲘᲠᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ...

ᲖᲐᲥᲗᲐᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ Ს. ᲗᲐᲚᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲮᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲮᲨᲘᲠ ᲜᲘᲐᲚᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲥᲕᲘᲗ ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲘᲧᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲗᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲖᲠᲘᲡᲐ; ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲕᲠᲪᲔ 1,700 ᲙᲝᲛᲚᲡ. ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ 10-Ს ᲕᲔᲠᲡᲐᲛᲓᲔᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ 15 ᲛᲔᲢᲘ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲚᲐᲚᲓ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲐ; ᲔᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲧᲑᲔᲓ ᲑᲘᲑᲠᲣᲪᲣᲜᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲗᲐᲕᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲑᲚᲝᲛᲐᲗ ᲐᲥᲕᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲔᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲜᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲢᲔᲢᲘᲣᲠ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘᲗ.

Ს. ᲗᲐᲚᲐᲨᲘ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲜ: ᲚᲔᲙᲔᲑᲘ-(ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲣᲠᲐᲓ ᲑᲣᲚᲮᲐᲓᲠᲔᲑᲘ, ᲣᲐᲠᲗᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲬᲐᲮᲣᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲚᲐᲚᲔᲑᲘ—ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲨᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲚᲔᲙᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲑᲣᲚᲮᲐᲓᲠᲔᲑᲘ. ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ. ᲣᲐᲚᲗᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲚᲔᲙᲣᲠ ᲨᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲐ; ᲛᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲫᲔᲒᲔᲑᲐ ᲑᲚᲝᲛᲐᲗ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲗ. ᲗᲐᲚᲐᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ. ᲣᲐᲚᲗᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲝᲛᲘᲡ ᲮᲝᲠᲐᲒᲔᲣᲚᲝᲑᲐᲐ. ᲛᲣᲚᲐᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲮᲕᲔᲜᲐᲗᲔᲡᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡᲐ. ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲨᲘ ᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲔᲢᲧᲝᲑᲐᲗ ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲝᲑᲐ: ᲛᲝᲫᲘᲜᲐᲠ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲑᲐ, ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲠᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ. ᲐᲛᲗᲐᲗ ᲡᲘᲖᲐᲠᲛᲐᲪᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲝᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲤᲔᲠᲘᲐ: ᲯᲔᲠᲐᲪ ᲙᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲠ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲜ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲐᲛᲐᲐᲗᲝᲑᲐ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲛᲗᲘ ᲙᲘᲢᲠᲘᲗᲘᲗ ᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ-ᲠᲩᲔᲑ ᲓᲐᲛᲢᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲑᲔᲩᲘ ᲔᲭᲘᲠᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲡ ᲙᲐᲛᲑᲔᲩᲘ ᲬᲐᲩᲮᲣᲑᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲡ ᲡᲮᲕᲘᲡ "ᲙᲐᲛᲑᲔᲩᲘᲗᲐᲜ; ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

თავიც გაუტეხნია ჭიდაობაში და რაც მოუტეხნია. დამარცხებული კამბეჩის პატრონი გამარჯვებულის კამბეჩის პატრონს ზიანს სთხოვდა! ამ საინტერესო საქმეზედ ჯამაათი ორ პარტიად იყო გაყოფილი და დიდი ბაასი ამტყდარიყო.

თალალელებს ექვსზედ მეტი თავიანთებური შკოლები აქვთ; ყოველი შკოლა შესდგება პატარა ოთახიდგან (თავიანთებურად — უჯრა), რომელიც ქვითკირის არის. რომელშიაც ჩვენ ვიყავით, რიგიანი „უჯრა“ იყო. ჰქონდა ორი ფანჯარა, იატაკი კირისა, კარგათ გალესილი კედლები და ერთი შესავალი კარი.

შიგ ისხდნენ ოცამდე ყმაწვილები, მათ შუაგულში მოლლა თავის განუშორებელ სახრით. სასწავლებელ ნივთების ხსენებაც არ არის არც ერთს შკოლაში. მოლლამ მითხრა, ს. თალაში 100 მეტი მოსწავლე ყმაწვილები იქნებიანო სხვა და სხვა „უჯრებშიო“. ჩვენ მაზრაში ყოველგან არაბულად (პირველ დაწყებით) ვასწავლიო, და მერმე როცა კითხვას მიეჩვეიანო, მაშინ კი ადირბეიჯანულად — ყმაწვილებისთვინ გასაგებარ ენაზედ — ვასწავლითო, რადგან მას შეუძლიანო მარტო კითხვა, ვინც კარგათ იცნობს ურანის ნოყდებსო (წერტილებს და მძიმე-წერტილებს).

რომელ თალალელსაც ჩამოუგდო ლაპარაგი ძველებურ ნანგრევებზედ, ყველანი ერთსაევ პასუხს გაძლევენ: უწინ, შაჰ-აბაზის დროს, აქ ქართველობა ყოფილაო, ეს ყველა ნანგრევები მათგან არიან დარჩენილიო, და ბევრნიც ამბობენ, აქაურობა დემურ-ხანს გაუფუჭებიაო და მუღალებიც მას აქეთ გადმოსახლებულანო. როგორც თვითონ თალაში, აგრეთვე მის მახლობლად ურიცხვი ნანგრევები ნამდვილად გვიხატავენ, რომ აქ ერთს დროს ისეთი გაცხოველებული ცხოვრება ყოფილა, რომლის მსგავსი ამ ჟამად მთელს კავკასიაში არ სად მოიპოვება.

თალალები სიწმინდის მოყვარე არ არიან: ეზო, ორ-ლობე, სახლ-კარი სულ ნაგავით და უწმინდურობით სავსეა; ჭარელებში კი ყოველგან სიწმინდე სუფევს. არც სხეულის სუფთად შენახვა იციან; ამის გამო არა იშვიათად ნახავთ მათში ცუდი ავათმყოფობისაგან ცხვირპირ გამოჭყულს ადამიანს. სოფლის გზები ყოვლისფრით საძაგელს მდგომარეობაში არიან.

თალას მეორე მხარეზედ შეეხვდებათ კიდევ ერთი პატარა ხევი და მერმე გამოხვალთ დიდს ციცაბს, ლამაზს მინდორზედ — სახელად „ფერზავანი“ დიადური რამ არის ეს მინდორი. სიგრძე და სიგანე თვალუწვდენელია. მთელი მინდორი ძალიან ნაყოფიერია პურით, ქერით, ფეტვით და ჩალთუქით. ამ ტურფა სიმდიდრეს ჩრდილოეთიდგან დასცქერიან წამოყუდებულად დიდის კავკასის მთების ნაწყვეტები, რომლების კალთებიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოყოლებული არსებობს ნანგრევები დიდის ქვით-კირის კედლისა წოდებული „ფერის“ კედლად (აქ თამარ დედოფალს „ფერის“ უწოდებენ).

ფერზავანის მინდორი გადაჭრილია კარგი გზატკეცილით ჯერის მსგავსად, და აქეთ-იქით პატარ-პატარა არხებით, რომლებითაც ირწყვის ხოლმე მთელი მინდორი. ერთი გზა მიდის ნუხისკენ და მეორე ალიაბადისკენ — ინგილო მაჰმადიანებისკენ...

ჩვენ ინგილო მაჰმადიანებისკენ წასვლას ვაპირებდით და ამიტომ დავადექით ალიაბადის გზას. ამ გზის მარცხნივ ჩვენ შევნიშნეთ ორი კოშკი; მე რომ ვკითხე, ვისი ნაშენებია, ღრმათ მოხუცებულმა მუხახელმა მიპასუხა: ჩვენ გაგვიგია, უწინ აქ ქართველები სცხოვრებდნენო თურმე და მათი ნაშენებიაო...

ინგილოელი

ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘ, 30 ნოემბერს. ამ დღეებში სოფელს სვირში (ქუთაისის უეზდისა) მოხდა საზიზღარი კაცის-მკვლელობა. ძმამ ძმა მოჰკლა. აი საქმე როგორ ყოფილა:

ერთ მოხუცებულ კაცს ჰყავდა ორი შვილი. უფროსი შვილი მამამ შეიძულა და აღარ დააყენა თავის სახლში. მრთელი მამული გაჰყო სამ წილად; ერთი თითონ დაიტოვა და ორი შვილებს მისცა. თავის წილი ადგილ-მამულით უნცროს შვილთან მივიდა და დადგა ერთათ. უფროსი შვილი ცალკე დაესახლა.

გაყოფის დროს ისე მოხდა, რომ უმცროსს ძმას ერთ ადგილზე გზა უნდა მიეცა უფროსისთვის; მაგრამ ნებით ამან გზა არ მისცა. ატყდა საჩივარი სოფლის სასამართლოში, რომელმანც გზა მისცა უმფროსს ძმას.

უურძენს კრეფდა ერთ დღეს ეს უფროსი ძმა და უნდა კალათით გამოეარა ამ გზაზე; ამ ადგილის სიახლოვეს უნცროსს ძმას მარანი ჰქონდა; ბერიკაცი მამა საწნახელში იდგა, ,ყურძენს სწურავდა და შვილი ტკბილს ასხამდა ქვევრში. რომ დააპირა იმ გზაზე გამოვლა უფროსმა ძმამ, მამამ უთხრა უნცროსს შვილს — ნუ მისცემ ნებას მაგ გზაზე სიარულისასო.

წავიდა შვილი და დახვდა თავის ძმას გზაზე. უმფროსმა ძმამ სთხოვა ერთხელ გავლის ნება მიეცა მისთვის და თუმცა სასამართლოსაგან მას აქვს დარჩენილი, მაგრამ მაინც აღარასადეს აღარ გაივლის აქეთკენ. ამ სიტყვებით დაკმაყოფილდა უმცროსი ძმა და მარანში შევიდა...

მაგრამ წარმოიდგინეთ, მამამ საცინათ აიგდო შვილი ამისთანა ძმური თავაზობისათვის და კიდეც გაუწყრა, რომ იმას კეტი არ დაკრა თავში. მართლა წაქეზებული შვილი, მამის სიტყვით, გამოვარდა გარეთ, ამოაძრო ურმიდამ ერთი ჭალი, ჩაესაფრა გადასაბიჯთან და მოვიდა თუ არა ძმა ღობესთან, დჰკრა თავში.. საწყალს კალათი ყურძნით სავსე გადაუვარდა და ხელი შეიფარა თავზე. მეორეთ დაკრა ხელზე და წააქცია იქვე..

პატარა ხანს იქით მოვიდნენ ყვირილზე მეზობლები. მამა მარტოდენ ეუბნებოდა შვილს:

„— დაჰკარი, შვილო, მაგას! ძაღლია, არ მოკვდება!“

წაიყვანეს საცოდავი სახლში. მღვდელი მოითხოვა. დაუძახეს მამას; მოვიდა და კიდევ იძახოდა: „ბამიშვით, ერთს დავარტყამ; იგონებს, თორემ ძაღლს რა მოჰკლავ!“ დაუძახეს მღვდელს, მაგრამ ველარ მიასწრო ცოცხალს. ერთი სიტყვა დაცალდა საწყალს, რომელიც თავის ცოლს უთხრა, შენ იცი და ჩემა ბავშებმა.. ბევრ ფულს მოგცემენ, მაგრამ სულს ნუ გამიყიდი და ნუ დაფარავ ამ ჩემს სიკვდილს!“

ასე დალია საცოდავმა სული. მამამ შობა და მამამვე მოკლა...

მკვლელი გაიქცა; მაგრამ მალე დაიჭირეს და ეხლა ქუთაისის სატუსაღოში არის. იწერება იქიდამ, ჩემი წილი ადგილ-მამული ქვრივს მიეცით და მე აქედამ გამომიყვანეთო. საზოგადოება ერთხმათ თხოულობს ამ სულ-კატიანი ბერიკაცის დაჭერას, მაგრამ ჯერ კანონი ხელს არ კიდებს.

საცოდავი მოკლული კაცის გვამი თითქმის ორი კვირა იყო დაუმარხავი, ექიმი მაინც ვერ იშოვეს...

X. N.

უცხო ქვეყნები

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲘ

გაზეთის „დელი ნეუსის“ ინდოელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ჩვენმა (ინგლისის) ჯარებმა ამ ჟამად შეაჩერეს ყოველი სამხედრო მოქმედება და წინ აღარ იწევენ ავღანშიო. ამის მიზეზად კორრესპონდენტს ის გარემოება მოჰყავს, რომ წელს ჩვეულებრივზე უფრო ადრე დადგა ავღანში ზამთარი და სიცივისაგან ძალიან შეწუხდნენ ჩვენი ჯარებიო. ამ გარემოებით უსარგებლნია შირ-ალის და, როგორც ამბობენ, ამ ზამთარში კაბულში რაც შეიძლება მომეტებული ჯარები უნდა მოაგროვოს, რომ გაზაფხულზე წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოს ინგლისელებისათვის.

— „სტანდარის“ სიტყვით, რუსეთის მთავრობამ გამოიხმო თავის ელჩები კაბულიდამ.

— ესვე გაზეთი (ლორდ ბიკონსფილდის ორგანია) ამბობს, რომ რუსეთი და ინგლისი დათანხმდნენ ერთმანეთში აღმოსავლეთ რუმელიის თაობაზედო და საზოგადოთ იმისთანა თანხმობა, როგორიც ახლა სუფევს ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს შუა, დიდი ხანია არ ყოფილაო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

„ბოლოსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ 7 ქრისტეშობისთვეს მიღებული

დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ოსმალეთის ახალს სამინისტროსა და რუსეთის ელჩს შუა სრული თანხმობა ჩამოვარდაო, ოსმალეთი ჰპირდება რუსეთს, რომ ამ დღეებში შეჰკრავს იმასთან დაბოლოებითს კონვენციას (პიროგბას) და ამნაირად ამ ორ სახელმწიფოს ხელ-ახლად შეტაკებისა და უკმაყოფილების მიზეზი ამ მოკლე დროით მაინც აღარ ექნებათო. ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების ელჩებიც ურჩევენ თურმე ოსმალეთს, რომ დაუჩქაროს რუსეთთან მორიგება.

საბერძნეთი

მოგეხსენებათ, რომ მუხთარ-ფაშა ათინაში არის ახლა ოსმალეთის მთავრობისაგან გაგზავნილი იმ მიზნით, რომ სამზღვრების შესწორების თაობაზე მოელაპარაკოს საბერძნეთის კოროლს. ამბობენ, ხონთქარმა დაუბარა მუხთარ-ფაშასაო, რომ, თუ საბერძნეთმა არაფერი დაუკლო თავის მოთხოვნილებას, ამ შემთხვევაში ყოველი მოლაპარაკება შესწყვიტე და წამოდი ათინიდამაო... ეს იქნება ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა ომის გამოცხადების ნიშანი.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია გრიქუროვის ქაღაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯ-ლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თქმული

ბიოგრბი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქვე ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. ბოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ.

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭედან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. ქერესელიძის ლექსების გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯაფელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

ვართანოვის ზიგნის ბაღ-ზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საუმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

რკ. გზა.	ნილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაღთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ.
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნის		4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .		8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 13 დეკემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი . .	8	—
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	50
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	10
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	5
ხორცი ძროხისა, ლიტ.	--	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	60
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	13	—
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლეევი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.